



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №22

2012 წლის 9 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის „სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამა“-ის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის „სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

დანართი

**ქობულეთის მინიციკალიტეტის
მუნიციპალური პროგრამა**

**„სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის
მიზნობრივი პროგრამა“**

ქობულეთის სოფლის წყალი

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

დაწყება - 01/03/2012 წ.

დამთავრება – 31/12/2012 წ.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 19800 ლარი.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

5. პროგრამის განმახორციელებელი

ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალი“ (ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემებში და სოფლებში წყალსადენების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები წლის განმავლობაში ღირებულებით 19800 ლარი).

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის რემონტი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კრიტერიუმების ცვლილებებთან. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სოფლების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და ამ პროცესების მართვას. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ისეთი სტრუქტურის შექმნა და განვითარება, რომელიც ითვალისწინებს სოფლების წყალთან დაკავშირებული ყველა საკითხის (სოფლების სათავე ნაგებობების, ავზებისა და შიდა წყალგაყვანილობების მიმდინარე რემონტი, აგრეთვე მათი სწორი და მიზნობრივი ექსპლოატაცია) დროულად მოგვარებას. თანამედროვე სოფლის წყალის სამსახური უნდა პასუხობდეს 3 ძირითად კრიტერიუმს.

- პირველი კრიტერიუმია სოფლებისათვის 24 საათიანი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.
- მეორე კრიტერიუმია მიწოდებული წყლის ოპტიმალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, რომლებიც რეგლამენტირებულია მიღებული ნორმებით; დღევანდელი პერიოდისათვის წყლის ხარისხს მოსახლეობა პირდაპირ უკავშირებს მისი პირადი უსაფრთხოების დონეს;
- მესამე კრიტერიუმია ეკონომიკა. იგი ზოგჯერ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს დამკვეთისათვის. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალური დანახარჯების გარდა არსებობს ასევე დანახარჯები მიმდინარე კაპიტალური რემონტისათვის.
- ყველაზე მთავარი მომენტი, რომლის საშუალებითაც ფორმირდება სოფლის წყალის კონცეფცია, არის სწორი ორგანიზაცია. კონცეფციის შექმნაში მონაწილეობას ღებულობს და მჭიდროდ თანამშრომლობს გამგეობის სხვადასხვა სამსახურების სპეციალისტები.

7. პროგრამის მიზნები

- მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი ხარისხიანი წყლით.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორი
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემის მდგომარეობა

9. პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები

პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები შეადგენს 29690 ლარს;

(ლარებში)

№	დასახელება	თანხა
1	კაპიტალური მიმდინარე ხარჯები	19 800

<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემებში, სოფლებში წყალსადენების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები წლის განმავლობაში</p>

10. პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემებში, სოფლებში წყალსადენების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა წლის განმავლობაში

№	ობიექტები	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ხუცუბანი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	2000	1,5	3000
2	ზენითი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1000	1,5	1500
3	კვირიკე	ურდულების შეცვლა	გრძ.მ	1000	1,5	1500
4	აღამბარი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	800	1,5	1200
5	ქაქუთი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1000	1,5	1500

6	მუხაკეტატი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1100	1,5	1650
7	ლეღვა	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1500	1,5	2250
8	გვარა	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	600	1,5	900
9	ბობოყვათი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1200	1,5	1800
10	ლაგვა	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1000	1,5	1500
11	სახინო	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1000	1,5	1500
12	ციხისძირი	ამორტიზირებული მეტალის წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია	გრძ.მ	1000	1,5	1500
	სულ:			13200		19800

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის თემებში, სოფლებში წყალსადენების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გეგმიური ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით

თვეები	მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გეგმიური ხარჯები
მარტი	1600
აპრილი	1900
მაისი	2100
ივნისი	2100
ივლისი	2300
აგვისტო	2300
სექტემბერი	2100
ოქტომბერი	1900
ნოემბერი	1900
დეკემბერი	1600
სულ	19800

12. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პროგრამის შემდგენი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალი“.